როცა მუსლიმი ან მორწმუნე მსახური ასრულებს მცირე განბანვას და თავის სახეს იბანს, მისი სახიდან წყლის წვეთებთან ერთად (ან უკანასკნელ წვეთთან ერთად) გამოდის ყველა ცოდვა

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როცა მუსლიმი ან მორწმუნე მსახური ასრულებს მცირე განბანვას და თავის სახეს იბანს, მისი სახიდან წყლის წვეთებთან ერთად (ან უკანასკნელ წვეთთან ერთად) გამოდის ყველა ცოდვა, რომელიც მან თავისი თვალებით იხილა. როცა ხელებს იბანს, მისი ხელებიდან გამოდის ყველა ცოდვა, რომელიც მათ ჩაუდენიათ, წყლის წვეთებთან ერთად (ან უკანასკნელ წვეთთან ერთად). ხოლო როცა ფეხებს იბანს, მისი ფეხებიდან გამოდის ყველა ცოდვა, რომელზეც მათ გაუვლიათ, წყლის წვეთებთან ერთად (ან უკანასკნელ წვეთთან ერთად), სანამ სრულად განიწმინდება ცოდვებისგან».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ როდესაც მუსლიმი ან მორწმუნე მცირე განბანვას იღებს და სახეს იბანს, მისი თვალებით დანახული ყველა მცირე ცოდვა წყლის წვეთებთან ერთად ჩამოირეცხება, იქნება ეს დაბანის მომენტში თუ წყლის ბოლო წვეთებთან ერთად, როდესაც ხელებს იბანს, მისი ხელებით ჩადენილი ყველა მცირე ცოდვა ჩამოირეცხება წყალთან ერთად ან წყლის ბოლო წვეთებთან ერთად,როდესაც ფეხებს იბანს, მისი ფეხებით ნასიარულები ყველა მცირე ცოდვა ჩამოირეცხება წყალთან ერთად ან წყლის ბოლო წვეთებთან ერთად, სანამ მცირე განბანვის დასრულების შემდეგ მთლიანად არ განიწმინდება მცირე ცოდვებისგან.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/3284